პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 21 აპრილი, 1990 წელი ● № 17 (2894) ● СУББОТА, 21 АПРЕЛЯ 1990 г.

ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრებს, შინაგან საქმეთა სამმართველოების, სამსახურების, ორგანოებისა და ქვეგანყოფილების უფროსებს, პოლიტგანყოფილებებს, პოლიტნაწილების უფროსებს, მოადგილეებს პოლიტდარგში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პოლიტიკური განყოფილებისა და პარტიული კომიტეტის სახელით გილოცავთ თქვენ და მთელ პირად შემადგენლობას საბჭოთა საქართველოს მილიციის შექმნის 69-ე წლისთავს!

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებმა განვლეს რა ხალხის ერთგული სამსახურის გზა არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს დამნაშავეობასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის ისტორიაში. დღესაც, რთული, საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარების პირობებში, ისინი პრაქტიკულ ზომებს ახორციელებენ მდგომარეობის სტაბილიზაციის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების აღსაკვეთად.

გულწრფელად გისურვებთ რა წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში, გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები მომავალშიც სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას, ფხიზლად იდგებიან კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე.

საქართველოს სსრ შსს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება, პარტიული კომიტეტი.



„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? ხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს... ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა!..“

ილია.

## „დედაენა ქართული...“

1978 წლის 14 აპრილი ქართული ენის მეორედ დაბადების დღედ ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში, ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ენის ყოფნა-არყოფნა. ქართული ენა იმ დღეს საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა. ამ დიდი სიხარულით გამოწვეულმა მღელვარებამ მალე „დაკარგა ფერი“, მომთხოვნელობა სახელმწიფო ენის აუცილებელ, ყოველდღიურ ხმარებაზე სადღაც გაქრა, კონსტიტუციური უფლება და პრიორიტეტი მხოლოდ ფურცელზე დაწერილ მავანთა გულის გასახეთქ სიტყვებად დარჩა...

ათი წლის თავზე, როდესაც სრულიად საქართველომ იგრძნო, რომ ენა ახალი კატასტროფის წინაშე და-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

# Опыт достоин распространения

### ТАК ОЦЕНИЛО РУКОВОДСТВО МВД СССР ИТОГИ МНОГОЛЕТНЕЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ИНСТИТУТА ОБЩЕСТВЕННОГО МНЕНИЯ ПРИ МВД ГРУЗИИ.

**НЕМАЛО** добрых и нужных дел, мероприятий, имевших большой общественный резонанс, в активе ИОМ, успешно возглавляемого в последние годы ректором профессором М. Дарчия. Не случайно деятельность института, к работе в котором привлекаются видные деятели науки и культуры, стала важным инструментом укрепления связей органов внутренних дел с общественностью республики, вносит заметный вклад в правоохранительную деятельность, в том числе в борьбу с наркоманией, пьянством и алкоголизмом, активизацию и совершенствование стиля и методов работы с трудновоспитуемыми подростками, лицами, отбывающими наказание и т. д.

Высокая оценка деятельности института, неоднократно давалась руководителями союзного министерства, в том числе и ознакомившимся с его работой в ходе своего визита в Грузию осенью прошлого года министром внутренних дел СССР генерал-лейтенантом В. Бакатиным. Положительные отклики о плодотворной, целенаправленной деятельности ИОМ не раз публиковались на страницах газет «Правда», «Известия», республиканской и ведомственной печати. И вот на днях произошло еще одно приятное событие — опыт работы ИОМ рекомендован руководством МВД СССР для распространения среди органов внутренних дел страны.

Практически вопрос решился в конце марта в ходе визита в Москву по приглашению союзного министерства делегации членов ИОМ, возглавляемой профессорами М. Дарчия и З. Поракишвили. Представленные делегацией предложения по созданию при МВД СССР организации, аналогичной ИОМ, их изучение и выработка на их основе конкретных рекомендаций осуществлялись сотрудниками научного центра при Академии МВД СССР под руководством профессора Л. Берикашвили. Затем выработанные рекомендации были рассмотрены и одобрены первым заместителем начальника Политуправления МВД СССР полковником милиции И. Остапкиным и заместителем начальника Политуправления полковником милиции Ю. Тупиковым. И, наконец, после окончательного обсуждения у министра, по его распоряжению было принято решение отправить рекомендации на места. Причем, следует отметить, что эти рекомендации не навязываются для безусловного исполнения, а лишь предлагаются для ознакомления и внедрения, в случае если руководство МВД союзной или автономной республики, исходя из местных условий, сочтет это целесообразным.

«Помимо решения вопросов распространения опыта ИОМ, наша делегация по приглашению т. В. Бакатина приняла участие в переговорах руководства МВД с находившейся в Москве с рабочим визитом американской делегацией, возглавляемой начальником Федерального управления тюрем Министерства юстиции США Майклом Куинланом, — рассказывает ректор ИОМ профессор М. Дарчия. — С советской стороны во встрече вместе с т. В. Бакатиным участвовали народный депутат СССР, председатель комиссии Верховного Совета СССР по вопросам правопорядка и борьбы с преступностью Ю. Голик, заместитель министра внутренних дел СССР генерал-майор Л. Сизов, заместитель начальника ГУИД МВД



НА СНИМКЕ: во время встречи руководящих работников МВД СССР с членами американской делегации.

(Окончание на 2-й стр.).

## В политотделе МВД ГССР

**МЕНЬШЕ** месяца остается до XXVIII съезда Компартии Грузии, который, как известно, начнет работу 15 мая нынешнего года. В соответствии с Постановлением XVIII пленума ЦК Коммунистической партии Грузии в партийных организациях системы МВД ГССР проводятся отчеты о роли коммунистов в деле стабилизации общественно-политической обстановки в республике и выборы делегатов на съезд. Прошедшие в ряде органов внутренних дел собрания показали неоднозначную оценку коммунистами нынешней ситуации.

В связи с этим сотрудниками политического отдела МВД ГССР 12 апреля проведены зональные совещания с политаппаратом горрайорганов. На совещаниях отмечалась необходимость выработки четкой позиции в отношении деятельности партийных и комсомольских организаций ОВД. Упор был сделан на том, что на сегодняшний день коммунисты составляют наиболее подготовленную и грамотную часть личного состава МВД республики. В условиях, когда различными радикальными, а порой и преступными элементами нагнетается напряженность, ведется линия на дезорганизацию обстановки в республике и, в первую очередь, в системе органов, обеспечивающих общественный порядок, как никогда важна сплоченность коммунистов, всего личного состава для достойного отпора подобным намерениям. Этой убежденностью необходимо проникнуться партийным организациям всем нашим коммунистам. На данном этапе в этом заключается главная задача политработников и партийного актива.

На совещаниях также были даны практические рекомендации по предстоящим партийно - политическим мероприятиям.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

დგა, საჭირო გახდა ახალი და ახალი ფორმები მშობლიური ენის სიწმინდის შენარჩუნებისათვის. აქ საქართველოს მთავრობამაც არ დააყოვნა და გამოსცა ყველასათვის ცნობილი დადგენილება ქართული ენის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე ვიუწყებოდით, თუ რა გაკეთდა და რა კეთდება საქართველოს სსრ შს სამინისტროში სახელმწიფო ენის განმტკიცების ხაზით. პრობლემები პირველი პუბლიკაციის შემდეგ მრავალი დარჩა. ჩვენთვის ინტერეს მოკლებული არ იყო თუ რა გაკეთდა ამ პრობლემათა აღმოსაფხვრელად, ამიტომაც მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამდივნოს უფროსს, შ/ს პოლკოვნიკ **ი. ბარხკის,** სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეს, **ბ. შონიას** და სამინისტროს კულტურის სახლის უფროსს **ი. ლიპარტელიანს** და ვთხოვეთ ეამბნათ ყოველივე ამის შესახებ:

ი. ბ. — შეიძლება ითქვას, რომ სამდივნოს, სამინისტროს ხელმძღვანელობის და პარტიული კომიტეტის აქტიური მხარდაჭერით დადგენილებამდე გაცილებით ადრე ჰქონდა საქმის წარმოების ქართულ ენაზე გადაყვანის კურსი აღებული, მაგრამ პრაქტიკულად ა. წ. 1 იანვრიდან მისი მთელი მუშაობა (რესპუბლიკის ფარგლებში) ქართულ ენაზეა. კანცელარია, როგორც წესი მიღებულ კორესპონდენციებს ამუშავებს და ადგილებზე აგზავნის ქართულ ენაზე. ყველა სამსახურებზე დაწესებული არის კატეგორიულობას არც ისე მოკლებული მოთხოვნა, რომ რესპუბლიკის გარეთ გასაგზავნი დოკუმენტაციის გარდა ყველა დოკუმენტი შეავსონ და წარმოადგინონ ქართულ ენაზე. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ ქართულ ენაზე ითარგმნოს და ადგილებზე დაიგზავნოს ყველა ძირითადი დებულებანი და სხვა ნორმატიული აქტები, ბრძანებანი თუ მითითებანი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამდივნომ სამეურნეო-განყოფილებასთან ერთად უზრუნველყვეს სამინისტროს ყველა განყოფილება ქართულ-შრიფტიანი საბეჭდი მანქანებით. ამ დიდი ეროვნული საქმისადმი ასეთი მიდგომა დიდად წაადგება ჩვენი ყველა სამსახურების ოპერატიულ სამსახურებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. შეიძლება ყოველივე ეს უფრო ადრე უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ როგორც იტყვიან: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ი. ლ. — როგორც თქვენი გაზეთი იუწყებოდა, კულტურის სახლთან ჯერ კიდევ გასულ წელს გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფი, მაგრამ ალბათ მსმენელთა მხრიდან დაუინტერესებლობამ და რესპუბლიკაში შექმნილმა მაშინდელმა მდგომარეობამ ხელი შეგვიშალა სწავლების ნორმალურ წარმართვაში და კურსები მაშინ დაიხურა.

მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან კურსები კვლავ ამოქმედდა, თავიდანვე საქმე კარგად აეწყო როგორც პედაგოგთა ასევე მსმენელთა მხრიდან და სამდურავი ჯერ არაფერი გვეთქმის. წლევანდელ სასწავლო წელს არის სიახლეებიც, ჯერ ერთი ამდენი მსურველის მიღებას არ ველოდით (ოთხ ჯგუფში გაერთიანებული არის 160 მსმენელი). სიახლეა ისიც რომ სწავლება უფასოა, მთელი ხარჯები იკისრა კულტურის სახლმა. პარტიული კომიტეტის თანხმობით მსმენელებს მიეცათ შეღავათი და სამუშაო დროის ხარჯზე მათ საშუალება აქვთ კვირაში ორჯერ დაესწრონ გაკვეთილებს. უნდა ვთქვა ისიც, რომ თავიდან კურსები განსაზღვრული იყო 6 თვის ვადით, მაგრამ მსმენელთა თხოვნით ჩვენ პედაგოგებთან ხელშეკრულება გავაგრძელეთ და სწავლების კურსი ერთ წლამდე გავზარდეთ. აღსანიშნავია, რომ მსმენელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით სისტემატიურად ესწრებიან ლექციებს, ასეთთა შორის არიან სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკებიც. რა თქმა უნდა მისასალმებელია ასეთი ინიციატივა. კულტურის სახლის ხელმძღვანელობა სამინისტროს ხელმძღვანელობის თანადგომით კვლავაც არ დაიშურებს ღონეს მშობლიური ენის დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში.

ბ. შ. — პარტიულმა კომიტეტმა ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა თავისი მტკიცე პოზიცია იმ დიდ ეროვნულ საქმეში, რასაც მშობლიური ენის განმტკიცება, მისი სიწმინდე ჰქვია.

კომიტეტი ყოველმხრივ დახმარებას უჩენდა ყველა იმ წამოწყებას და ინიციატივას რომელიც ამ საქმეს წაადგებოდა. ხშირ შემთხვევაში კი თავად იყო მრავალი სიახლის ინიციატორი. გასული წლის პარტიული კომიტეტის სხდომის შემდეგ, რომელიც სწორედ ქართული ენის დამკვიდრების საკითხთან იყო დაკავშირებული, გამოჩნდა რომ ბევრი რამ კვლავ უძრავად რჩებოდა, ამიტომაც კომიტეტმა სხდომის დადგენილების ყველა საკითხზე დააწესა კონტროლი რომლის ანგარიში და მოსმენაც ივლისის თვის პარტიული კომიტეტის სხდომაზე გაიმართება.

## „დედაენა ქართული...“



**სურათზე: მეცადინეობას ატარებს პედაგოგი ნ. ზურაბაშვილი.**

ესაუბრა ს. ალავიძე.

## Опыт достоин распространения

(ОКОНЧАНИЕ).

СССР генерал-майор в/с В. Кремнецкий, другие руководящие работники министерства.

Встреча прошла очень интересно, дала много полезной информации обеим сторонам. С большим вниманием американские гости выслушали информацию профессора З. Поракишвили о деятельности ИОМ, в которой их внимание привлек рассказ о проведении культурных мероприя т и й, практикуемых формах воспитательной работы с осужденными, организации после соответствующего изучения дел их досрочного освобождения из мест заключения и т. д. Члены американской делегации выразили желание приехать в Грузию для ознакомления с опытом ИОМ на месте. На второй день наша делегация приняла участие и во встрече с президентом Интерпола Иваном Барбо, который дал интересную информацию о работе этой организации, ее проблемах, ответил на многочисленные вопросы».

Отмечая высокую оценку деятельности ИОМ, следует подчеркнуть, что его коллектив не останавливается на достигнутом, ищет новые пути совершенствования своей работы. В ближайших планах коллектива института проведение с участием директоров школ, руководителей отделов народного образования республики совещания под девизом: «Школа вне политики», других интересных мероприятий. Хочется пожелать коллективу ИОМ новых успехов в его столь нужной обществу деятельности.

**А. ЦАТУРОВ.**

## 14 აპრილს აღინიშნა მართლწესრიგისათვის მებრძოლთა ხსოვნის დღე

**14 აპრილს, „მართლწესრიგისათვის მებრძოლთა ხსოვნის დღესთან“ დაკავშირებით საქართველოს შს სამინისტროს სისტემაში მოეწყო რიგი ღონისძიებები — დაღუპულთა საფლავების შემკობა, ახალგაზრდა თანამშრომელთათვის პირადობის მოწმობების, ფორმის ტანსაცმლის და ტაბელური იარაღის გადაცემა, სამინისტროს ხელმძღვანელი შემადგენლობისმიერ დაღუპულ თანამშრომელთა ოჯახების მონახულება და ა. შ.**

### თბილისი

...არ ივიწყებენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ბოროტმოქმედებთან ბრძოლაში დაღუპულ კოლეგებს, მათი ოჯახის წევრებს. ამ დღეებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მცხეთის შს რაიგანყოფილების სოცსაკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების ინსპექტორის, მილიციის კაპიტნის ე. ბოგვერაძის მეუღლეს შს სამინისტროს საფინანსო-საგეგმო განყოფილების თანამშრომელს დ. ქაფიანიძეს შეხვდა და ესაუბრა საქართველოს სსრ შს მინისტრის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი ბ. ჭანტურიშვილი.



დაღუპულის ოჯახს გაუწიეს მატერიალური დახმარება.

### ЦХИНВАЛИ

**14 АПРЕЛЯ — в День памяти бойцов правопорядка— сотрудники УВД Юго-Осетии склонили свои головы перед святой памятью тех, кто лучшие годы своей жизни посвятил работе в органах внутренних дел и кого сегодня уже нет в живых. Одним из них был Виктор Давидович Гиголаев.**

**Еще год назад, весной, он вместе с работниками органов внутренних дел автономной области в такой же день отдавал дань погибшим сотрудникам. Ветеран милиции, наставник молодежи находил время и в будни — прийти, побеседовать с молодыми милиционерами, поделиться своим богатым опытом.**

**В. Гиголаев родился в 1922 году. До 1941 года работал в своем родном колхозе. Затем был призван в действующую армию, принял активное участие в борьбе против немецко - фашистских войск на Северо-Кавказском фронте. После окончания войны, вернувшись с фронта, начал работать в г. Цхинвали в городском отделении милиции. За 32 года службы в органах внутренних дел старший сержант милиции В. Гиголаев был неоднократно отмечен за образцовое выполнение своего служебного долга. Дисциплинированный, энергичный, культурный, исполнительный, — так характеризовали его все, кто знал, кто работал вместе с ним.**

**Не каждому человеку дано совершить великий подвиг, не каждому дано создать бессмертное творение, но ведь, если вдуматься, каждая человеческая жизнь, прожитая достойно и честно, — это тоже подвиг.**

**— Ты приходил к людям разделить с ними радость и горе, поддержать доброе дело человека и помочь оступившемуся — разве все это не заслуживает того, чтобы вечно жить в памяти тех, кто пришел на смену?**

**Можно с твердой уверенностью сказать, что память о Викторе Давидовиче Гиголаеве будет жить долго, а значит будет жить и его дело.**

### თბილისი

**ამ** დღეებში აღინიშნა ხსოვნის დღე. კიდევ ერთხელ მოვიგონეთ ჩვენგან წასული ადამიანები. ამ დღეს თავის დაღუპულ თანამშრომლებს ავტოინსპექციის თანამშრომლებიც იხსენებდნენ. ზედგენიძე, ბერიტაშვილი, მთიულიშვილი, ნებიერიძე, ყაფშილავა, დათუაშვილი, მუმლაძე, სიუკაევი, ჯეჯელაშვილი და სულ ახლახან მოულოდნელად გარდაცვლილი მილიციის კაპიტანი მიხეილ თხელიძე. აი ისინი, რომლებიც ახალგაზრდები წავიდნენ ჩვენგან. მათ ბევრი რამის გაკეთება შეეძლოთ სამსახურისთვის, ქალაქისთვის, ოჯახისათვის, მაგრამ ვაი რომ არ დასცალდათ.

ხსოვნის დღეს დაღუპულ თანამშრომელთა ოჯახებს ეწვივნენ ავტოინსპექციის სამმართველოს ხელმძღვანელები და პატივი მიაგეს თანამშრომელთა ხსოვნას.

### МАРНЕУЛИ

**В НАЧАЛЕ** нынешнего года трагически оборвалась жизнь начальника паспортного отделения Марнеульского РОВД капитана милиции Ярослава Пангани, проработавшего в органах внутренних дел более пятнадцати лет. В день памяти руководители РОВД посетили семью Я. Пангани, были на кладбище в селе Тамариси, где захоронен их товарищ.

**НА СНИМКЕ: заместитель начальника РОВД подполковник милиции О. Имнадзе, заместитель начальника отделения ГАИ старший лейтенант милиции Г. Квеладзе и госавтоинспектор лейтенант милиции Д. Барткулашвили на кладбище в селе Тамариси.**



**17 АПРЕЛЯ сотрудники пожарной охраны в 72-й раз отметили свой профессиональный праздник.**

**За годы существования службы бойцы огненного фронта, рискуя собственной жизнью, спасали человеческие жизни, промышленные объекты, жилые дома от огненной стихии.**

**Так было в Чернобыле, так было в Батуми... Огнеборцы и сейчас готовы в любую минуту прийти на помощь людям.**



# ტრადიციულ შეხვედრებზე

**დიდი ხნის** მეგობრობა აკავშირებთ საბურთალოს რაიონის სახანძრო ნაწილის თანამშრომლებს 55-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელებთან.

მოსწავლეები კვირაში ორჯერ ყურადღებით ადევნებენ თვალს ტაქტიკურ მეცადინეობებს, ეუფლებიან ცეცხლსაქრობი საშუალებებით ხანძრის ალკვეთის ოსტატობას. ნაწილის უფროსი შ/ს მაიორი თ. ინაიშვილი და მოადგილე პოლიტდარგში, შ/ს უფროსი ლეიტენანტი ვ. ბოჟაძე მოსწავლეებს მოუთხრობენ ნაწილის ისტორიაზე, მეხანძრეთა რთულ, მაგრამ საპასუხისმგებლო საქმიანობაზე.



სურათზე: ერთ-ერთი შეხვედრის დროს.

# БЛАГОДАРНОСТЬ ПОЖАРНЫМ

**ДЕСЯТКИ** писем поступают в Озургетскую пожарную часть (начальник части Г. Долидзе) от жителей города и района, в которых жители, руководители организаций, директора заводов с благодарностью отмечают самоотверженность и профессионализм работников пожарной охраны.

— Недавно, — рассказывает начальник части Г. Долидзе,— к нам поступило письмо от жителя г. Озургети К. Кобаладзе, который благодарит личный состав нашей пожарной части за проявленную смелость, оперативность и профессионализм во время тушения пожара, возникшего по ул. Гогебашвили. Благодаря оперативности ваших пожарных, — пишет К. Кобаладзе, — был спасен мой дом и личное имущество. Большое спасибо вам.

Активное участие бойцы подразделения наряду с другими приняли в тушении пожара, возникшего в конце прошлого года на Батумском нефтеперерабатывающем заводе, во время тушения которого они до последней секунды не покидали своего поста, даже тогда, когда огненная лавина перекинулась на машины. Пожарные сумели спастись, а две боевые машины полностью сгорели.

За смелость и самоотверженность озургетские пожарные были поощрены и награждены приказом министра внутренних дел республики.

Недавно пожарная часть взамен сгоревших автомашин получила новую современную пожарную технику. Сейчас идет ремонт части, строится новый спортивный комплекс.



**НА СНИМКЕ: Озургетская пожарная часть № 93; начальник части Г. Долидзе и начальник Госпожнадзора майор внутренней службы Г. Гобронидзе ставят перед отделением задачу на тактические занятия.**

## რეპლიკა

**18 აპრილს საინფორმაციო პროგრამა „მოამბემ" გვაუწყა, რომ — ქ. სოხუმში თამბაქოს დამამუშავებელ საამქროში ხანძარი გაჩნდა. ობიექტი მდებარეობს სახანძრო დაცვის განყოფილებიდან 150-200 მეტრის მანძილზე, მაგრამ იმის გამო, რომ მეხანძრეებმა დაიგვიანეს ხანძარმა მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც სოხუმში გაჩენილ ხანძარზე მეხანძრეებმა დაიგვიანეს.**

ეს ინფორმაცია არაობიექტური და არასამართლიანია. იგი შეურაცხმყოფელია ცეცხლის ფრონტის მებრძოლებისათვის. არასდროს მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევა, როცა სახანძრო დაცვის სადისპეტჩერო პუნქტში ხანძრის შესახებ შეტყობინებას მიიღებენ და ქვედანაყოფები უმალვე რომ არ გავიდნენ შემთხვევის ადგილისაკენ. მითუმეტეს, მეხანძრეებმა კარგად იციან, რომ გართულებული ხანძრის ქრობა უფრო ძნელია, ვიდრე ახლად დაწყებულის. ამიტომ თვით მეხანძრეები არიან დაინტერესებული, რათა რაც შეიძლება სწრაფად მივიდნენ ხანძრის ადგილზე. მითუმეტეს 150-200 მეტრი მანძილის გავლას დიდი დრო არ

# უზარალო ხანძარი არ არსებობს

დასჭირდებოდა. ასე, რომ მეხანძრეთა ხანძარზე დაგვიანება გამორიცხულია.

გამორიცხულია ის გარემოებაც, რომ თითქოსდა მეხანძრეთა დაგვიანების შედეგად ხანძარმა მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ყველა სახის ხანძარი გარკვეულ კვალს ტოვებს. არ არსებობს უზარალო ხანძარი. არსებობს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ზარალიანი ხანძრები, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა სახის ობიექტურ ფაქტორებზე. კერძოდ კი არსებობს ისეთი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობანი, მასში მოთავსებული მზა და ნედლეული პროდუქციით, რომელთა ცეცხლისაგან დაწვას სულ რაღაც წუთები სჭირდება. არსებობს ისეთი სახის ობიექტებიც, სადაც ხანძარი ნელა ვითარდება, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც იგი შეუმჩნეველი რჩება. ხანძარი მოიცავს სათავსოს და როდესაც კვამლი და ალი გამოაღწევს გარეთ მხოლოდ მაშინ ხდება შესამჩნევი. სრული ჭეშმარიტებაა ასეთი ხანძარი ყოველთვის გამოიწვევს მნიშვნელოვან ზარალს.

მეხანძრეთა მოვალეობაა ძალების და საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით უზრუნველყონ ხანძრის ლოკალიზაცია, არ მიეცეს ხანძარს შემდგომი გავრცელების საშუალება და ლიკვიდაცია უყონ ხანძრის კერას.

ისიც ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობს ისეთი დარგი, (თუ გნებავთ პოლიტიკაშიც, მეცნიერებაშიც, ეკონომიკაშიც) სადაც დასახული მიზან-ამოცანები ყოველთვის დაუყოვნებლივ და ყოველგვარი შეფერხების გარეშე სრულდებოდეს. და თუ სოხუმშიც 30-40 ხანძრიდან მეხანძრეების მხრივ მხოლოდ სამ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი შეფერხებას (თუმცა ესეც დაუჯერებელია) მაშინ მართლაცდა ბარაქალა სოხუმელ მეხანძრეებს. ასე რომ საქმეში ღრმად ჩაუხედავად მეხანძრეების მისამართით გამოთქმული მწარე კრიტიკა გულსატკენია.

ხანძრის სტიქიასთან ბრძოლა ისევე ძნელი და სახიფათოა, როგორც ყაჩაღების შეპყრობა. უფრო მეტიც, ყაჩაღს მისდევ, ის გემალება ან კიდევ მახეს დაუგებ — ჩაუსაფრდები. ხანძარი კი ბობოქრობს, არ გემალება, პირიქით აქეთ გიტევს და თუ ვერ გაუმკლავდი არამარტო დოვლათს არამედ ადამიანთა სიცოცხლესაც კი შეიწირავს.

ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ცეცხლის ფრონტის მებრძოლებს მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება. ობიექტებზე კი უმჯობესი იქნებოდა თავის ვადებში შესრულებულიყო სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მითითებანი. დანაშაულის უსაფუძვლოდ სხვაზე გადაბრალება პატიოსან ადამიანს არ ეკადრება.

**ლ. ჰოჰუა.**

# საიმედო ფარი

**ამ** სიტყვებით გამოხატავენ ფოთის მშრომლები ქალაქის სახანძრო დაცვის გარნიზონისადმი ნდობასა და პატივისცემას. ისინი ხომ არაერთხელ ყოფილან მოწმენი მისი საბრძოლო შემართებისა, როცა გამძვინვარებულ ხანძრის სტიქიას საიმედოდ აღუდგებოდნენ ხოლმე წინ ფოთელი მეხანძრეები.

დღესაც ფოთის სახანძრო დაცვის ქვედანაყოფები ახალ-ახალი მიღწევებით ეგებებიან სახანძრო დაცვის შექმნის 72-ე წლისთავს. იზრდება საბრძოლო და პოლიტმომზადების ფრიადოსანთა რიცხვი. განსაკუთრებით გამოირჩევიან ათმეთაურები: ტ. ქარჩავა, თ. გვენეტაძე, რ. ივანოვი, ნ. გურგენაძე, რიგითები: ფ. ერმაკოვი, ი. რასსოლოვი, ვ. კაპანაძე, ა. დოლჟენკო.

მთავარია საბრძოლო მომზადება — ამ დევიზითაა აქ გამსჭვალული მუშაობა და მართლაც სახანძრო ტექნიკურ-ტაქტიკური საწვრთნელი სწავლებისა და მეცადინეობის გარეშე შეუძლებელია სტიქიასთან შერკინება და მასზე გამარჯვება.

ამ სურათზეც სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა სახანძრო დაცვის გარნიზონის უფროსის მოადგილე, შ/ს კაპიტანი თენგიზ ხაზალია პროფესიული სახანძრო ნაწილის მეხანძრეთა ერთ ჯგუფთან ინსტრუქტაჟს ატარებს.

**ВНИМАНИЕ: ПОДРОСТКОВАЯ ПРЕСТУПНОСТЬ**

# НУЖНЫ ОБЩИЕ УСИЛИЯ

**Недавно сотрудниками Октябрьского РОВД на улице Калинина на факте кражи были задержаны подростки. Рассказывает заместитель начальника Октябрьского РОВД майор милиции Георгий Кешелашвили.**

— **РАБОТА** с трудновоспитуемыми подростками занимает одно из важных мест в деятельности нашего РОВД. В 1989 году в районе совершено семь преступлений подростками. Не лучше выглядит картина подростковой преступности и в нынешнем году — за истекшие 3 месяца несовершеннолетними совершено 6 преступлений.

В марте нынешнего года были совершены квартирные кражи на улицах К. Цеткин, Орджоникидзе и Ниношвили. Преступниками были похищены носильные, золотые и антикварные вещи. Для выявления и задержания преступников мною была создана оперативная группа, в которую вошли: начальник ОУР майор милиции Л. Чичуа, старший оперуполномоченный УР майор милиции И. Цихелашвили, оперуполномоченные УР старший лейтенант милиции Д. Джачвадзе и лейтенант милиции З. Себуа. Было установлено, что кража — дело рук подростков.

Принятыми оперативными мерами 17 марта в 4 часа утра во время очередной «операции», теперь уже на улице Калинина, на факте кражи задержаны жители г. Тбилиси: семнадцатилетний Каха В., шестнадцатилетний Георгий О., пятнадцатилетний Звиад К. и тринадцатилетний Армен К., у которых на квартирах были изъяты краденые ранее вещи с улиц Ниношвили, К. Цеткин и Орджоникидзе и возвращены хозяевам.

Этот факт еще раз показывает, что проблемы подростковой преступности все еще не решены. Они требуют пристального внимания не только правоохранительных органов, но и семьи, школы и общественных формирований. Проблема эта общая и решать ее надо усилиями всех заинтересованных сторон.

**А. МАЛАЯНЦ.**

**ყურადღება: მოზარდთა დანაშაული**

# ყაჩაღური თავდასხმა

**1990 წლის** 19 იანვარს ზუგდიდის შს საქალაქო განყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე მ. კარაპეტიანზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე.

ერევნიდან კრასნოდარისაკენ მიმავალმა მ. კარაპეტიანმა მისი კუთვნილი „ჟიგული" დააყენა ზუგდიდში „ენგურქაღალდკომბინატის" ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებლის წინ და ავტომანქანაში დაიძინა. დაახლოებით ღამის 2 საათზე მას ცეცხლსასროლი იარაღით — ლულაგადაჭრილი თოფით თავს დაადგა ორი ბოროტმოქმედი. მძინარე მძღოლს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოსთხოვეს ავტომანქანის კარის გაღება და გასაღების გადაცემა. როდესაც მ. კარაპეტიანმა დააყოვნა კარის გაღება მას ჩაუმტვრიეს ავტომანქანის წინა მარჯვენა მხარის მინა. კარაპეტიანმა გააღო ავტომანქანის კარი და დაიწყო ყვირილი (შველას ითხოვდა). ბოროტმოქმედებმა ერთხელ გაისროლეს ცეცხლსასროლი იარაღი და ადგილიდან მიიმალნენ. დაახლოებით 2-3 წუთის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ ორივე და კვლავ ცეცხლსასროლი იარაღით მოკვლის მუქარით მოსთხოვეს ავტომანქანის გასაღები. ამ დროს მათთან მივიდა კ. ბ. როდესაც მძღოლმა გაუწია წინააღმდეგობა ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა მას სახეში დაარტყა მუშტი და ერთხელ გაისროლა. გასროლილი ტყვიით დაიჭრა კ. ბ. ბოროტმოქმედები მიიმალნენ. კ. ბ-ს არ მიუმართავს სამედიცინო დაწესებულებისათვის. მეორე დღეს მილიციის თანამშრომლებმა მიაგნეს მას და ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

საქმის წინასწარი გამოძიების დროს დადგინდა რომ აღნიშნული დანაშაული ჩაიდინეს ზუგდიდელმა მოსწავლეებმა გ. ნ-მ და კ. ბ-მ, რომლებიც აყვანილი იქნენ წინასწარ პატიმრობაში, საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება სხვა დამნაშავე პირთა დადგენისა და საქმის სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით.

## რომ ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდეთ!

(9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას)

ახლოა ჟამი შუაღამისა,
ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება...
კვდება სრულიად საქართველოსთვის,
ლოცვით,
გალობით
ვინც ახლა კვდება!
ახლოა ჟამი, ჟამი ცისკრისა,
იწვიმებს სისხლი,
დადგება ტბებად...
კვდება სრულიად საქართველოსთვის,
მამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება!
არა გაქრობა, —
აღდგომა მკვდრეთით!
არა დალევა, —
მრავლობა შვილთა,
რომ... გამოვუსხლტეთ
ისევ ყორანთა
და ფრთებს უფრორე
ძლიერად ვშლიდეთ!

ანა კალანდაძე.



გახსენება

## კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

რა მწარედ ხვდება ყურს გივი კობიაშვილის სახელი... რა ტკივილით იხსენებ სიცოცხლით, სიყვარულით, ნატვრით აღსავსე 43 წლის კაცის სიცოცხლეს. ვაგლახ, რომ ამჟერად გვიხდება სევდის და მწუხარების ცრემლებით დავნამოთ ჩვენი მეგობრის საფლავი.

— მერწმუნეთ, დიდი დანაკლისია გივი კობიაშვილის დაღუპვა არა მარტო გარდაცვლილის ოჯახის წევრებისათვის, ნათესავებისათვის, არამედ ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, მთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივისათვის — გვითხრა საუბარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრის დროს მარნეულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ფარნაოზ სვანიძემ.



მოულოდნელად გულმა უმტყუნა და ხელიდან გამოგვეცალა სიცოცხლით აღსავსე ადამიანი. ბევრი რამ მას ოცნებაში დარჩა.

პარტიის გლდანის რაიკომის რეკომენდაციით მოვიდა ის სამუშაოდ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. რაიკომში კი მუშაობდა საორგანიზაციო განყოფილებაში. მუშაობდა ლენინის რაიონის პროკურატურაში. შს სამინისტროში მან მუშაობა დაიწყო 1979 წელს ერთ-ერთი განყოფილების უფროსად, ბოლო წლებში მუშაობდა რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოში აგიტაციაპროპაგანდის განყოფილების უფროსად. მილიციის მაიორი გივი კობიაშვილი დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით „შინაგან საქმეთა ორგანოებში კეთილსინდისიერი სამსახურისათვის". მრავალჯერ იყო წახალისებული და დაჯილდოებული სიგელებით და დიპლომებით.

ხსოვნის დღის აღსანიშნავად მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი, თანაგრძნობა გაუწიეს მის მეუღლეს რუსუდანს და ვაჟიშვილს ირაკლის.

წელს უკვე მეოთხედ ესტუმრა უშენოდ გაზაფხული შენს საყვარელ თბილისს ჩვენო გივი, სადაც გაიხედავ სიცოცხლე სჩქეფს... სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს ისე ძნელად დასაჯერებელია ჩვენთვის შენი არყოფნა. ბატონ მიხეილ ქვლივიძეს აქვს ერთი ლექსი სათაურით — „კაცი რომელიც დააკლდა ქალაქს", ალბათ ეს სტრიქონები შენზეც შეიძლება იყოს თქმული.

გ. მგალობლიშვილი.

## МЯЧ НАД КОРТАМИ

У ТЕННИСИСТОВ начался летний сезон. На вновь отремонтированные корты первыми вышли юные мастера спортклуба «Раши» Грузинского республиканского совета «Динамо». Свыше двухсот юношей и девушек оспаривают награды в своих возрастных группах.

Среди девочек 1972—1979 годов рождения победительницей стала 12-летняя Мака Цицуашвили, которая в этом году успешно выступила и во всесоюзных зимних турнирах. Среди девочек 1980 года рождения первенствовала Лика Курчишвили.

Среди юношей самым маленьким чемпионом клуба стал 10-летний Амиран Какауридзе, а среди юношей 1976—1979 годов рождения победителем стал Джимшер Оганезов.

Победителям и призерам первого чемпионата клуба «Раши» грамоты вручил президент клуба генерал-майор в отставке Отар Кавтарадзе.

А. МАЛАЦИДЗЕ.

## მხიარული სტარტები











19 აპრილს გულმოწყალების კვირეულთან დაკავშირებით თბილისის შს სამმართველომ და ქალაქის სპორტკომიტეტმა ჩაატარა მხიარული „სტარტების" შეჯიბრება (მთავარი მსაჯი შს სამმართველოს სპორტისა და ფიზმომზადების ჯგუფის უფროსი, მილიციის მაიორი თ. ლაკია) ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სამმართველოს ერთ-ერთი დანაყოფისა და სახანძრო დაცვის განყოფილების თანამშრომელთა ბავშვების გუნდები „ნაკადული" და „ჩიოლდანი", რომელშიც № 1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელებიც გამოდიოდნენ.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და საინტერესოდ ჩატარდა. დასასრულს ჟიურის წევრებმა ფასიანი საჩუქრები გადასცეს შეჯიბრების ნორჩ მონაწილეებს.

ბ. ბიაშვილის ტექსტი და ფოტო.

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### В ПОГОНЕ — МЭР

ПЕРИОДИЧЕСКАЯ стрельба на улицах — атрибут жизни на Филиппинах. Такое обилие вооруженных людей, как в Маниле, редко где еще можно увидеть. Практически у каждого дома стоят охранники — гарды, на поясе которых красуются смит-вессоны, кольты и магнумы. Однако, несмотря на обилие гардов, преступность в стране продолжает оставаться достаточно высокой. Время от времени на улицах филиппинской столицы происходят вооруженные стычки с пальбой и погонями. Так случилось на этот раз. Когда мэр Манилы Гемильяно Лопес, проверяя готовность вверенной ему столичной полиции, решил посетить один из полицейских участков, то услышал неподалеку выстрелы. Неизвестные преступники, напав на гарда Висенте Навида в районе Сам-палок, смертельно ранили его. Не растерявшись, Лопес схватил автомат и бросился в погоню за убийцами. Жители столицы стали свидетелями необычного зрелища. Впереди полицейских, размахивающих револьверами, бежал мэр Манилы с автоматом на изготовку. К сожалению, возглавляемая им погоня не увенчалась успехом.


გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე" 1990 წელს

წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

რედაქცია გთხოვთ დროულად ჩაატაროთ ხელმოწერა გაზეთზე — შეავსოთ მისი მკითხველთა რიგები.

გამოცემის ინდექსია — 66639.



ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ» НА 1990 ГОД

Подписная цена на год — 3 руб. 12 коп.

Редакция просит своевременно оформить подписку на газету, пополнить ряды ее читателей.

Индекс издания 66639.


### გასწორება

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" მიმდინარე წლის 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად", რომელშიც მასალის ავტორის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ, მემორიალის ავტორია, უფროსი სახავტოინსპექტორო, მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. ჯაფარიძე და არა თ. კაკაბაძე, როგორც ეს მასალაშია აღნიშნული.

### ПОПРАВКА

В МАТЕРИАЛЕ «Побег из тюрьмы — случайность?», опубликованном в № 13 от 24 марта 1990 года, в третьей и четвертой строках вместо: «Мы же со своей стороны отметим, что побеги были и из других изоляторов..» следует читать: «Мы же со своей стороны отметим что побеги были и из других исправительно-трудовых учреждений».

საქართველოს სსრ შსს სასწავლო ცენტრის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა მასწავლებელი, მილიციის მაიორი

მიხეილ ვასილის ძე მარლიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.


ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 09407